ტურისტული კლასტერების ფორმირების საკითხები საქართველოში

ნოდარ სამხარაძე
სტუ-ს ასოც. პროფესორი

აღნიშნულ სტატიაზე მუშაობა გადამაწყვეტინა ინტერნეტ-გამოცემა "კომერსანტის" პუბლიკაციამ: "აჭარაში ახალი ტურისტული კლასტერების გეგმის დეტალები უცნობია"(1). სტატიაში გადმოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად აპირებს აჭარაში ახალი ტურისტული კლასტერის შექმნას.

ტურისტული მომსახურების კლასტერული ფორმის ეკონომიკური სუბიექტი საქართველოში არ არსებობს და ამდენად ინფორმაცია ძალიან სასიამოვნოა, რადგან ტურისტული კლასტერები მსოფლიოში ამ ბოლო დროს ძალზე გავრცელდა და მომსახურების ინოვაციურ ფორმად (სავსებით სამართლიანად) არის მიჩნეული. . ზოგადად ტურისტული კლასტერების შექმნის მიზანია ტურისტულ ბაზარზე ტურისტული ტერიტორიის (დესტინაციის) კონკურეტუნარიანობის ამაღლება ე.წ. სინერგიის ეფექტის ამოქმედების ხარჯზე. სინერგია ბერძნული სიტყვაა და თანამონაწილეობას ნიშნავს; კერძოდ, ეკონომიკაში, ტურიზმში, სინერგიული ეფექტი მიიღწევა რამოდენიმე ეკონომიკური სუბიექტის ერთობლივი, კომბინირებული ქმედების შედეგად. სუბიექტების კომბინირებულად ოპერირების შედეგი, როგორც წესი, მეტია ვიდრე იგივე სუბიექტების ცალკეულად ქმედების შემთხვევაში მათი შედეგების უბრალო, არითმეტიკული ჯამი. სინერგიული ეფექტი დამყარებულია იმაზე, რომ რამოდენიმე ეკონომიკური სუბიექტის მიერ ერთობლივი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შედეგად წარმოიშვება ისეთი ახალი, ზოგჯერ მოულოდნელი, თვისობრივად სხვაგვარი, უფრო მომეტებული ეკონომიკური შესაძლებლობები, რომლებიც არ შეიძლებოდა წარმოშობილიყო იგივე სუბიექტების დამოუკიდებლად ფუნქციონირების შემთხვევაში. სინერგიის ეფექტზეა დამყარებული სულხან-საბას ცნობილი იგავი "ძალა ერთობაშია": ისრების ერთად შეკვრის შემთხვევაში წარმოიშვება ახალი თვისება, ისრების კონის გადატეხვისადმი წინააღმდეგობის გაწევის ძალის სახით, რომელიც მეტია სათითაო ისრის გადატეხვისადმი წინააღმდეგობის ძალების ჯამისა; ამ ძალის დაძლევა კი ერთი ადამიანის ძალღონეს აღემატება. საქართველოს ღერბზე გამოსახულია წარწერა "ძალა ერთობაშია", რაც აგრეთვე სინერგიის ეფექტის გამოხატვის სიმბოლოდ შეიძლება მივიჩნიოთ. ტურისტული კლასტერის სინერგიული ეფექტის გამოვლინების საშუალებებია:

- კლასტერში შემავალი ეკონომიკური სუბიექტების ეფექტიანობის გაზრდა;
- ინოვაციების სტიმულირება;
- ახალი მიმართულებების განვითარების სტიმულირება.

კლასტერული თეორია ეკონომიკურ მეცნიერებაში დაამკვიდრა ა. მარშალმა, ხოლო დარგობრივი კლასტერული თეორიები, მ.შ. ეკონომიკაში, განავითარა მ. პორტერმა. მ. პორტერის მიხედვით კლასტერი, ეს არის გეოგრაფიულად ახლოს მდებარე ურთიერთ დაკავშირებული კომპანიების, ორგანიზაციების ერთობლიობა, რომლებიც მოქმედებენ გარკვეულ სფეროში და ავსებენ ერთმანეთს. (2)

კლასტერების შექმნის ობიექტური საფუძვლები არის მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, რეგიონში, სადაც ყველა საჭირო ფაქტორების, რესურსების და კომპეტენციების თავმოყრა ხდება; გარკვეული მასშტაბის, კრიტიკული ზღვარის მიღწევის შემდეგ წარმოიშვება თვისობრივად ახალი გარემოება, რაც გამოიხატება მოცემული რეგიონის მიერ გადამწყვეტი და მდგრადი კონკურენტული უპირატესობების მოპოვებაში, უფრო მაღალი მწარმოებლობის, ინოვაციური ტექნოლოგიების და ახალი ბიზნესების დანერგვის ხარჯზე. კლასტერების კლასიკურ მაგალითებად მ. პოტერს მოყავს კომპიუტერული ტექნოლოგიების კლასტერი – სილიკონის ველი (აშშ), ლოჯისტიკური ცენტრი როტერდამში (ჰოლანდია) და ოფშორული პროგრამირების კლასტერი ბანგალოში (ინდოეთი).

ტურისტული კლასტერი შეიძლება განხილული იქნას როგორც ორგანიზაციების, ფირმების, საოჯახო მეურნეობების, ინდმეწარმეების

ერთობლიობა, რომლებიც მოქმედებენ გარკვეულ გეოგრაფიულ საზღვრებში – ჩართულნი არიან საერთო საქმიანობაში, ამ დესტინაციაში ტურისტული პროდუქტის მიწოდების შემდგომი განვითარება-გაფართოების მიზნით.

ტურისტული კლასტერების შექმნის ძირითადი მიზანია კონკურენტუნარიანი ტურისტული კომპლექსის ფორმირების და ფუნქციონირების უზრუნველყოფა. მასში შეიძლება შედიოდეს ეკონომიკური სუბიექტები, რომლებიც მოცემულ ტურისტულ დესტინაციაში უზრუნველყოფენ ტურისტების განთავსებას, კვებას, ტრანსპორტირებას, სახალხო რეწვის ნივთებით და სხვა სუვენირებით ვაჭრობას, სამედიცინო მომსახურებას, დასვენებას და ტურისტებისათვის აუცილებელ, თუ სასურველ სხვა მომსახურებას.

ტურისტული კლასტერების შექმნის ეფექტურობა განპირობებულია მასში შემავალი ეკონომიკური სუბიექტების ვიწრო სპეციალიზაციით, რაც უზრუნველყოფილია კლასტერების შიგნით ფუნქციების დანაწილებით. ტურისტული კლასტერი მის საქმიანობაში ადგილობრივი მოსახლეობის ფართოდ ჩართვის და აქედან გამომდინარე რეგიონებში უმუშევრობის შემცირების და სოციალური დაძაბულობის მოხსნის საშუალებას იძლევა

ტურიზმის განვითარების კლასტერული მიდგომის უპირატესობის თვალნათლივ წარმოსაჩენად ვნახოთ, თუ როგორია მისი შექმის წინაპრობები და ძირითადი მახასიათებლები:

• კლასტერები არ წარმოიშვებიან სტიქიურად. საჭიროა მათი ჩამოყალიბების ორგანიზება.

• კლასტერი მიბმულია კონკრეტულ რეგიონზე და ეყრდნობა მის რესურსულ პოტენციალს; ამის გამო საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში შექმნილი ტურისტული კლასტერები ერთმანეთისგან განსხვავებულ რესურსების მქონე დესტინაციებში იფუნქციონირებენ.

• მოცემულ ტურისტულ კლასტერს გარკვეულწილად აქვს ის მახასიათებლები, რომლებიც შეგნებულად ჩადებულია მისი პროექტირების დროს, რადგან ის არის ხელოვნურად შექმნილი, ორგანიზაციული პროექტი. აქედან გამომდინარე, კლასტერის ეფექტურობის, როგორც ეკონომიკური სისტემის საფუძველს წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმარების პროცესი, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტურისტული კლასტერის სწორად დაპროექტებას და მართვას.

• ტურისტული კლასტერების პროექტირებისას განმსაზღვრელი უნდა იყოს ინოვაციური მიმართულებები.

• ტურისტული კლასტერის მთავარი თვისებაა ის, რომ მასში გაერთიანებული ეკონომიკური სუბიექტების ერთობლიობა ქმნიან სინერგიულ ეფექტს.

• ტურისტული კლასტერის ფორმირება არის პროცესი, რომელიც განუხრელად ვითარდება; ამასთანავე, შესაძლებელია, თავიდანვე ჩამოყალიბდეს სისტემა, რომელიც შემდგომში დაზუსტებებს და კორექტირებებს აღარ საჭიროებდეს.

ტურისტული კლასტერები შედგებიან, ჩვეულებრივ, შემდეგი სტრუქტურული ელემენტებისაგან: ა) "ბირთვი" – ძირითადი ეკონომიკური სუბიექტია, რომლის გარშემოც ხდება დანარჩენი სუბიექტების თავმოყრა; ბ) "შემავსებელი ობიექტები"- სუბიექტებია, რომლებიც უშუალოდ უზრუნველყოფენ "ბირთვის" გამართულ ფუნქციონირებას; გ) "ტურიზმის ინფრასტრუქტურა"- სუბიექტებია, რომლებიც აუცილებელია კლასტერების ფუნქციონირებისათვის, მაგრამ უშუალოდ არ მონაწილეობს "ბირთვის" საქმიანობაში. ასეთებია: საერთო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, კავშირგაბმულობის ობიექტები და სხვა; დ) "დამხმარე ინფრასტრუქტურა" – სუბიექტებია, რომლებიც კლასტერებისთვის სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი. ასეთებია, მაგალითად, საკონსულტაციო, სასერვისო ობიექტები.

ტურისტული კლასტერების სიკეთეები სწორად დაპროექტების და გამართული მენეჯმენტის პირობებში გამოიხატება შემდეგში:

• კლასტერში მონაწილე დამოუკიდებელ სუბიექტებს შორის მყარდება ურთიერთ ხელსაყრელი კავშირები, რომლებიც საშუალებას აძლევთ მათ იყვნენ უფრო ძლიერები და თავდაჯერებულები, ვიდრე იქნებოდნენ კლასტერგარეშე ფუნქციონირების პირობებში.

• თითოეული მონაწილე მოქმედებს კლასტერის საერთო სტრატეგიის ფარგლებში.

• მონაწილე სუბიექტების სამეურნეო საქმიანობა ხდება უფრო სტაბილური, რაც უზრუნველყოფს რეგიონში ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას და კლასტერების განვითარებასთან ერთად დასაქმებულთა ხელფასების ზრდას.

• კლასტერის მონაწილე სუბიექტებს შესაძლებლობა ეძლევათ განავითარონ ინოვაციური საქმიანობები, აამაღლონ პროდუქციის ხა-რისხი, გაზარდონ მწარმოებლობა და რენტაბელობა.

• კლასტერის მონაწილე სუბიექტებს უადვილდებათ საბაზრო ინფორმაციების მიღება საერთო კლასტერული საინფორმაციო-ანალიტიკური სისტემების შექმნის ხარჯზე.

დასასრულ, თვალსაჩინოებისთვის ქვემოთ შემოთავაზებულია ტურიზმის კლასტერული ორგანიზაციის პოლონური გამოცდილება, საიდანაც კარგად გამოჩნდება, თუ როგორ ინოვაციურ, მრავალფეროვან ტურისტულ პროდუქტს თავაზობენ კლასტერები მომხმარებლებს (4).

პოლონური ქალაქ ელბლონგის ტურისტული კლასტერი აერთიანებს 41! სუბიექტს. ეს სუბიექტებია: განთავსების ობიექტების სპეციალიზირებული ოპერატორები, ტუროპერატორები, აგრო ტურისტული საოჯახო მეურნეობები და ტურიზმთან დაკავშირებული სხვა ფირმები.

კლასტერის პროდუქტებია: ბიზნეს ტურიზმი, საქალაქო და კულტურული ტურიზმი, სასოფლო ტურიზმი, რეკრეაციული, აქტიური და სპეციალიზირებული ტურიზმი, სატრანზიტო და სასაზღვრო ტურიზმი.

ტურისტული კლასტერი, რომელიც მოქმედებს პოლონეთის, ოპოლსკის სავოევოდოში, შექმნილია ადგილობრივი ტურისტული ობიექტების, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, ოპოლსკის უნივერსიტეტის და ოპოლსკის სამეცნიერო-ტექნიკური პარკის კლასტერული გაერთიანებით.

კლასტერის ტურისტული პროდუქტებია:

- აქტიური დასვენება (მ.შ. უიკ-ენდი) სოფლად და ეკოტურისტულ მეურნეობებში.
- ბიზნეს ჯგუფების კლუბური დასვენების ორგანიზაცია.
- სკოლამდელი ასაკის ბავშვების საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება; ეკოლოგიური პარკების ტერიტორიაზე მოზარდებისათვის თემატური გაკვეთილების ორგანიზაცია.
- მეფუტკრეობის მეურნეობების მონახულება.
- შუა საუკუნეების რაინდთა ქალაქის მოდერნიზებულ სანახაობებში მონაწილეობის მიღება.
- თერაპიული საცხენოსნო სწავლების ბანაკები.
- ცხენებით, ველოსიპედებით შეჯიბრებების ორგანიზება.
- საოჯახო ზეიმების – ნათლობების, ზიარების, ქორწინების, დაბადების დღეების და მსგავსი ღონისძიებების ორგანიზება.
- ბიზნეს ტურების ორგანიზაცია.
- კონცერტების, საავტორო შეხვედრების, პიკნიკების ორგანიზება.

როდესაც ეცნობი ტურისტული კლასტერების მსოფლიო გამოცდილებას, რწმუნდები, რომ ტურისტული მოსახურების კლასტერული ორგანიზება საქართველოშიც გამართლებულია, თანაც ჩვენი დესტინაციების მრავალფეროვნების პირობებში შეთავაზებული მომსახურებაც რეგიონების მიხედვით განსხვავებული იქნება, რაც მათ შორის კონკურენციას გამორიცხავს და დააკმაყოფილებს ტურისტული ბაზრის მრავალ სეგმენტს. ქვეყანას ტურისტული კლასტერების შექმნის და მდგრადი განვითარებისთვის გააჩნია ყველა პირობები: გვაქვს მთა, ზღვა, უამრავი ისტორიული და საკულტო ძეგლები, ვითარდება ინფრასტრუქტურა, საჭიროა ცენტრალური ხელისუფლების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების უფრო მეტი მონდომება და ინიციატივები, რათა წახალისდეს აღნიშნული ინსტიტუტის ჩამოყალიბება და განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. commersant.ge. 08.01. 2013.
2. М. Портер. Конкуренция. М. 2005 г. Стр. 257.
3. Туристический кластер. www. Conferencia.ru.
4. Дмитрук О. Опыт создания кластеров как инструмнта повышения конкурентоспособности региона. www. teoria-practica.ru/-8-2013/economics/dmitruk.pdf

QUESTIONS OF FORMATION OF TOURIST CLUSTERS IN GEORGIA

NODAR SAMKHARADZE
asoc. prof. of GTU

The article deals with the Tourism Clusters. Travel services in the form of a cluster are quite common worldwide and are considered as an innovative activity. Innovation of tourism clusters is based on the synergy effects arising as a result of a joint tourism venture. We consider a positive thing that tourism clusters are being created in Georgia, which would allow us, create additional jobs and decrease social tensions in different regions, touristic destinations.